

გაზეთის ფასი:

გაზეთით ტფილისში და გარეშე ადგილებში: მაუზუნენლათი: შრომის წლისა — 7 მან. — — 6 მან. ნახევრის წლისა — 4 — — 3 — 50 კ. სამის თვისა — 2 — 50 კ. — — 2 —

ცალკე ერთის ნუმრისა გაუზუნენლათი — შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

დროება

ხელის-მღწერა მიიღება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქი-შვილის და კამ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის აღვსი: ВЪ Тифлисѣ. ВЪ контору редакциі грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება უცვლელ-გვარი **განცხადება** სხვა და სხვა ენებზედ. უსი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასობით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საკორტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

შინაარსი: მმართველობის განკარგულება. — უქაზი მმართველობის სენატისადმი. — შმალესი ბრძანება. მმართველობის სენატისადმი უქაზი ძველის ქალაქის ფულის გაცვლაზე ახალში. — სამოსამართლო საჩვენებელი. პოლიტიკა. შრანცია. ტელეგრაფები. ბარდინერის პროცესი. მიზიყელეები ინგილოებში. ლექსი. — ნატყრა. — საბიბლიოგრაფია ცნობა. — ძეგლობითი განცხადება.

მმართველობის განკარგულება.

უქაზი მმართველის სენატისადმი
I.

შინა საქმეთ მინისტრს, ჩვენს სტატუს-სეკრეტარს, დისტიტულნი ტაინი სოვეტნიკს მალ უეცს, მისის თხოვნისაებრ ავთ-მოფოზისაგამო, შმოწყალესად გაეანთავისუფლებთ შინა საქმეთ სამინისტროს მმართველობისაგან, დარჩენითა სახელმწიფო რჩევის წევრათა და სტატუს-სეკრეტარს წოდებაში.

II.

შორტათ და ტელეგრაფთა მინისტრს ჩვენს გენერალ-ადუტანტს, გენერალ-ლეიტენანტს ტიმაშოვს, შმოწყალესად უბძანებთ იყოს შინა საქმეთ მინისტრათ, დარჩენით გენერალ-ადუტანტის წოდებაში.

ნადვილზე საკუთარის მისის იმპერატორების დიდებულების ხელით მოწერილია:

„ალექსანდრი.“

ს. პეტერბურლი
9 მარტს 1868 წ.

შმალესი ბრძანება.

შმალესის უქაზით მმართველის სენატისადმი მიცემული 9 მარტს 1868 წ. ნაბძანება: „ფორტათ და ტელეგრაფთა სამინისტრო შეუერთდეს შინა საქმეთ სამინისტროსა.“

მმართველის სენატისადმი უქა-

ზი ძველის ქალაქის ფულის გაცვლაზე ახალში. მისის იმპერატორებითი დიდებულების შმალესს უქაზში, რომელიც მისის დიდებულების საკუთარის ხელის მოწერით ამ წლის 13 თებერვალს მიეცა მმართველ სენატსა, გამოხატულია: ახლანდელი სახელმწიფო ბილეთების კეთება 1843 წელს დამტკიცებულის ნიმუშის გვართ არ შეშვენის ამ დროსა, როცა საბილეთო ქალაქსა უწინდელზე ბევრათ უცეთესათ აკეთებენ. ამის გამო ჩვენ საქროთ შვერაცხეთ, ბრძანება გავგეცა სახელმწიფო ქალაქის კეთებაზე ახალ-ნართ, მაგრამ უცულებლათ უნდა დარჩეს უწინდელი რიგი ვაჭრობისა სახელმწიფო ბილეთებით, უწინდელი იმისი დაყოფილება და ამასთანავე ყოველგვარი აქამომდე ყოფილი დაწესება სახელმწიფო ბილეთების შესახებ. ამ ბილეთების საკეთებლათ მხედველობაში მიღებულ არს და მოხმარებულ არს ამ დროს მოგონებულ საუკეთესო ხელობა ბილეთების მოსაქრელად, დასასტამბავათ და შინაგანის ნიშნების საკეთებლათ. ამ ქაპათ დამზადდა რა ჩვენ მიერ მოწონებულნი იმდენი სახელმწიფო ბილეთები, რამდენიც საკმაოა, რომ იმაზე ძველი ბილეთები გაიცვალოს, ვბრძანებთ, რომ შეუდგნენ ამ გაცვლასა და იწარმოებოდეს იგი თან-და-თან საფინანსო მინისტრის შედგენილთა და სახელმწიფო რჩევაში განხილულთა წესთა თანახმად: 1) ამ წლის

15 მარტიდგან დაიწყოს ოცდა ხუთ მანეთიანების გამოცვლა; სხვა ღირსების ბილეთთა გამოცვლა დაიწყება თან-და თან იმ ქაპებიდგან, რომელთაც დანიშნავს საფინანსო მინისტრი სახელმწიფო ბანკის სა-მმართველოს წარდგინებათა თანახმად, იმ პირობით, რომ ერთი წლის განმავლობაში ესე იგი 1869 წლის 15 მარტამდის ყველა გვარი ბილეთების გაცვლა უნდა იყოს დაწყებული. 2) მიდრე თითოეული ღირსების ბილეთების გაცვლა დაიწყებოდეს, საფინანსო მინისტრი წარუდგენს ჩვენმიერ მოწონებულის ახალი ფორმის ბილეთის აღწერას მმართველს სენატს, რომელიც მოახდენს განკარგულებას, რომ დაწესებულის რიგით გამოცხადდეს ეს აღწერა; ამასთანავე მოიხმარს ყოველს გვარის ღონის-ძიებას ეს აღწერა ყოველგან შეიტყონ. საფინანსო მინისტრი აგრეთვე მოახდენს განკარგულებას, რომ სახელმწიფო ბანკის კანტორებში და განყოფილებებში, და ხაზინებში დაარზგოს ახალი ფორმის ბილეთები, როგორც ამ დაწესებულებათა ხელსამძღვანელოთ, ისე იმათის განკარგულებით ახალი ბილეთების გამოსაკიდებლათ იმისთანა ალაგას, საცა ყოველს კაცს შეეძლება ამ ახალი ბილეთების გაცნობა. 3) ბაცვლა ჯერ სახელმწიფო ბანკში და იმის კანტორებში დაიწყოს და შემდეგ საფინანსო მინისტრის ნებართვით თან-და-თან გაიხსნას აგრეთვე საბანკო განყოფილებებში და ხაზინებში. 4) თითოეული ღირსების ახალი ბილეთი გაიცვალას იმავე ღირსების ძველ ბილეთში. ამასთანავე რაკი რომელიმე ღირსების ბილეთის გაცვლა დაიწყება, არც სახელმწიფო ბანკი, იმის კანტორები და განყოფილებანი, არც ხაზინები აღარ გასცვილიან იმავე ღირსების ახლანდელს ბილეთებსა სხვა ღირსების ბილეთებზე. 5) ბამოცვლა უნდა მოხდეს ახლანდელ ბილეთების წარდგენით სურვილისამებრ პატრონისა იმ წესის ბეჯითად ასრულებისამებრ, რომელიც აქამომდე ბილეთების გაცვლისთვის იყო გამოცემული. 6) რაკი ბილეთების გაცვლა დაიწყება, სახელმწიფო ბანკი, იმისი კანტორები და, როცა ბანკის განყოფილებებშიაც იწყებენ გაცვლას, მაშინ ამ განყოფილებებშიაც მისცემენ ხოლმე კერძო პირების და სახელმწიფო ხაზინის გირაოთი, სესხით ან გადაცემით და წარმავალ ანგარიშით საბანკო გადასახადის ანგარისში იმავე ღირსების ახალი ფორმის ბილეთებსა იმის და გვარად, რამდენიც იქნება სახელმწიფო ბანკში, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა წინათვე გაცვილიან ამ ახალს ბილეთებს იმავე ღირსების უწინდელ ფორმის ბილეთებზე, რომელნიც შემოსულან ხაზინაში სხვა და სხვა შემთხვევის გამო. 7) ქველა საკრედიტო ბილეთები ახლანდელის ფორმისა, რომელნიც გაცვილიან ახალს ბილეთებში, წარიგზავნებიან სახელმწიფო ხაზინაში და შემოწიქების შემდეგ დაიწვიან წესისა მებრ. 8) სახელმწიფო ბანკს მიენდობა საზოგადო შედამხედველობა სახელმწიფო ბილეთების გაცვლაზე და სისწორით გაუცულებლათ თუ არა ბილეთები, ამის შემოწმება მიენდობა სახელმწიფო საკრედიტო დადგენილბათა რჩევისა და იქვე მორჩევისზე კამიტეტს. თავის მხრით საფინანსო მინისტრმა უნდა მოიხმაროს

ყოველ-გვარი საშუალება, რომ ბილეთების გაცვლა წარმატებით წარმოებდეს.

9) როდესაც გამოიანგარიშებენ, თუ რამდენიღა დარჩენილა კიდევ ძველი ბილეთები საეაქროთ, საჭროთ შვერაცხვენ ამ ბილეთების გაცვლასაც უსათუოთ, რომ სრულებით ახლანდელი ფორმის ბილეთები აღარ დარჩეს ხმარებაში, მაშინ საფინანსო მინისტრი, როგორც რიგია, ისე წარადგენს, რომ გამოცვენ ხელ-ახლა გაცვლის კანონები. მმართველი სენატი რამდენიც იმისგან შესაძლებელი იქნება, ცდას არ დააკლებს, რომ ეს მოიყვანოს ასრულებაში.

სამოსამართლო საჩვენებელი.

ტფილისის სამოსამართლო პალატში, ასამოქალაქო დებარტამენტში დანიშნულია მოსახსენებლათ 10 აპრილს შემდეგი საქმეები:

ა პ ე ლ ა ც ი უ რ ი :

1) სოფელ მღაღის-ჭვართან სადაეო მამულზე გენერალ ლეიტენანტის თ. ბიორგი რომანის ძის შრისთვის შორის ერთის მხრით და თთ. ბგრატიონ-მუხრან ბატანთა და სუმბათთან შორის მეორეს მხრით და სოფ. ჩაშის საეკლესიო ყმების ვეკილებისა მესამე მხრით.

2) ღაეზზე სოფლის შიხილ-ბუჯილის გამიჯენის დროს აღმოჩენილზე იქაურ ალაღარებისა და ხაზინის ექილებისა ერთათ, — და ქათიშის მებატონე ზაქარია ბართაშვილისა.

ქ ე რ ძ ო რ ბ ი თ ი :

3) ჩივილზე სახელმწიფო ყმის ღავით ქალანდოზოვისა სანიჯნაო 2 კომისიის მოქმედებაზე, ქალაქს ტფილისში მდებარე საგაბაშვილოს მამულის გამიჯენის დროსა.

4) ჩივილზე თ. თაქთაქიშვილისა სამიჯნაო მეექვსე კამისიის წევრის მოქმედებაზე ბორჯომის მამულის გამიჯენის დროსა.

და 5) ჩივილზე მელიქებისა: მიკირტიჩ და სფრიდონ ასან-შალალოვებისა მესხეთე კამისიის მოქმედებაზე, მიჯენის დაღებაში სოფ. ხაჩინ-ღაღეთში.

კორტიკა.

შრანცია.

ბაასიას სოციაციების კანონის შესახებ. პანონ მდებელ კრებაში თებერვლის 29 (მარტის 12-სა) დაიწყო ბაასი ასსოციაციების (საზოგადოებების) კანონზე უფ. ბარნიე-პაქეს-მა, რომელმაც შეადარა შრანციის ეხლანდელი მდგომარეობა 1848 წლის მდგომარეობასა. ბარნიე-პაქესს ძალიან მოწონილია ბაქონდა 1848 წლის ამბების დროს (*); მოიგონა ის ამბები და ბოლას ამ კანონის პროექტის წინააღმდეგ ხმა მისცა. მრატორი ამტიკებდა, რომ ძველი დროების სახელმწიფო, რომელიც ასსოციაციების ნებას აძლევდა, უფლობდა რამდენიმე საუკუნე და მაშინ დაეცა, როდესაც ასსოციაციების უფლების მოსპობა მოინდომა; პირველი იმპერია უცხო ქვეყნის ხაზინის შემოსევას შეუმარცხებოდა, შრანციისათვის თავისუფლება რომ არ წაერთვა; მას შემდეგ ძველ კაროლებს დაბრუნებას შემდეგ ასსოციაციის უფლებას

(*) იმ ხანებში რესპუბლიკა დაწესდა შრანციაში.

რომ არ შეჩებოდნენ, არ დაეცემოდნენ. მას უკან ორატორმა განაგრძო სიტყვა და განხილვაში შევიდა: 1848 წლის ამბები ბანკტებისაგან (სახალხო შეყრილობა), კლუბებისაგან ესე იგი ასსოციაციების სიმართლისაგან მოხდა თუ არა? იმ ხანებში მმართველობა ეწინააღმდეგებოდა ყველაფერს, რაც კი ამ გვარ სიმართლეს შეეხებოდა. რვეოლუცია იმითამ ასტყუდა, რომ იელისის მმართველობას უნდოდა ასსოციაციის სიმართლის წართმევა მხარისაგან. მაშინდელი მმართველობა ეხლანდელსაგან ამბობდა: „მე შემოვიტანე საზოგადოებრივი წესი და კეთილდღეობა, სადაც მშვიდობიანობა და რღვეული იყო; ვაჭრობა და ადგილ მამულის მართვა ჰყვავის; საზოგადო მუშაობა კარგათ მიდის; რკინის გზების კეთება დაიწყდა; სახელმწიფო შემოსავალი მუდამ წელს 20 მილიონ ფრანკამდის მატობს.“ შემდეგ მმართველობა ამბობდა: „მხარეს ღონისძიება მიეცა 1846 წელს, რომ თავისი ჰაზრი გამოეცხადებინა; ამორჩევის შედეგი ის იყო, რომ შრანციამ გაამართლა ის პოლიტიკა, რომელსაც ჩვენ მიედევდით; ოპპოზიციას კი რამდენიმე წვერი მოაკლდა.“ ოპპოზიციის აჩვენება დეფიციტსა ბუჯეტში, რომელიც მიდიოდა ვალში, ფონდის დაღვევასა, რომელიც სახელმწიფო ვალში გავიდა და აჩვენებდა ახალ სესხსა, რომელსაც მმართველობა აპირებდა აელო. მაშინ ოპპოზიციის ეუბნებოდა ეხლანდელსაგან: „ვაჭრობა და აღმშენებლობა გაჭირვებულ მდგომარეობაში არის; მუშა ხელოსანი პურს ერთი ორათ ყიდულობენ და ძლივს პურის ფასი უშოვნიათ.“ უნებობით მდგომარეობა შრანციისა, ოპპოზიციის სიტყვით, წარმოდგენდა, შესაწუხარ სანახესა, რადგანაც მატერიალურა ინტერესმა პირველი ადგილი დაიჭირა. იმ დროებში, რომელზედაც მე ელაპარაკებ სამწუხარო ამბები მოხდა. დაიწყო საეკვო ვაჭრობა საზოგადო თანამდებობისა, უ. დეპუტიების წიგნმა საზოგადოების ჰაზრი უფრო მღელვარებაში მოიყვანა. ის იწერებოდა: „არ შეიძლება მოქმედება, ამიტომ რომ მმართველობა ხელში ჰყავთ . . . არ მიინდა ის სიტყვა წარმოგვსტყვა. შრთმა მინისტრმა, რომელიც ღარბითა სამინისტროს განაგებდა, დიდ ძალი ქონება შეიძინა. ტქვენ რასაკვირველოა, არ დაგვიწყებოდათ იმისი სამართალში მიცემა და ამ მინისტრის სამართლისაგან დაღებული გარდაწყვეტილება- (მს მინისტრი იყო უფ. ტოტი; ვაჭრებისა და აღმშენებლის კაცებისაგან ის იღებდა დიდ ძალ ფულსა, რომ იმათ სასაგრებლოთ ემოქმედა ხოლმე). ოპპოზიციის თხოვედა რეფორმებსა (ცელილებებსა). მინისტრი ლეშატელი ამ მოთხოვნისაგან შედღურობით პასუხს აძლევდა. პ რ ე შ ი დ ე ნ ტ ი ბ ა რ ო ნ შ ე - რ ო მ ღ ა ე ი დ ი : უ-ლო ბარნიე პაქეს, ტქვენ აცილობთ დამტკიცოთ, რომ 1848 წლის საქმეების მდგომარეობა ეხლანდელისას ემსგავსება. ინებთ რომ, ტქვენს ს-ტყუა შეეხებოდეს ეხლანდელ კანონის პროექტსა, რომელიც უნდა განიხილებოდეს!“ უ. ბ ა რ ნ ი ე პ ა ქ ე ს ი : „ტქვენ ამ სათშივე ნახათ, რომ მე ლოლიკურათა ელაპარაკობ და იმას არა ვცილდები, რაც უნდა განესაჯოთ. (ორატორს სიტყვას აწყვეტინებენ). მოთმინება მოიღეთ ორიოდ წაშსა. მე მსურს დაგი-



ბარდინის პროცესი (დასასრული).

ბარდინის მოსაჩივრებელი ამტყუნებელი მოყვანილობის საბუთებს: „თუ რომ ბარდინი იყოს ბრუნის მკვლელი, ნუ თუ ის ასე რეგენულა მოიქცეოდა? მისი მკვლელი მუდამ ცდილობს თავისი ბოროტმოქმედების კვალი დამალოს და არა გამოავსი-რავს; ბარდინის რომ მოექცა ბრუნის, მკვლარს თავის თავის ცხობი რაღათ მიიტანდა? ბარდინისათვის ასჯერ მეტათ უმჯობესი იყო მკვდარი მინდორში გაეშო. ჩემმა ამხანაგმა სისხლიანს მწარვადეც ბევრი ილაპარაკა, დარბაისენო, იმ მწარვადეც, რომელიც ბარდინის თავის ბანზედ იპოვეს; ის მწვარი უთუთათ ის უნდა იყოს, რომლითაც მკვლეს ბრუნისათვის სისხლი შეუწყვეტია ღობისაკენ წამოღების დროს. მაგრამ მკვლელი ბარდინი რომ ყოფილიყო, განა აგრე გაუფთხილებლათ მოიქცეოდა, და აშკარათ თავის თავის გასამტყუნებელს ნიშანს თავისს საკუთარი თავის ბანზედ შეაგდებდა ამას გარდა იმისთანა ადვილას, სადაც ყველა დინახავდა? ასე რეგენულათ კმაწილიც არ მოიქცეოდა. — ჩემი პატივცემული ამხანაგიც თავის მხრივ ამტყუნებს, რომ გარეშე პირისათვისაც საჭირო არ იყო იმ მწერის ბანზედ შეგდება. მაგრამ ის სცდება. უცხო სათვის საჭირო იყო სწორეთ ასე მოქცეულიყო: უცხო კაცი რაკი მკვლარს ბარდინის ცხობი მოიტანდა და ბოროტ მოქმედების კვალს იქ დასტოვებდა, ამით ის თავს უფრო დიმი-ლადა, მძიმებლებს გზა კვალს აუჩედა, ბრალს თავიდან მოიცილებდა და ცხობს პატრონს უდანაშულო კაცზედ გადიტანდა, თავისი ყელის მაგიერათ, თუკს იმის ყელს მოახევედა. მე ძრიელ ვსწუხვარ, რომ უფ. ბარდინის მამტყუნებელმა ეს შემთხვევა უყურადღებოთ დასტოვა; ფრიად ვსწუხვარ, რომ მე იმას იმისთანა შეცდომილებანი უნდა დავანახო, რომელი შეცდომილებანიც არც ერთს გამოცდილს ადვოკატს არ შოუვიდოდა. მაგრამ მე ვიმედოვნებ, პატივცემულნი დარბაისენო, რომ თქვენ ბარდინის დანაშაულობას სხვა გონების თვლით შეხედეთ, და არა ისე როგორც უცქერს ჩემი ამხანაგი; რომ თქვენ უფრო ღრმით დააკვირდებით საქმეს, იმის შინაგანს ღირსებას დაფასებთ და რასაკვირველია თქვენი სამართლის გადაჭრა თვით უკეთესი და თვით ჭეშმარიტი იქნება! სხვა ბარდინის გასამტყუნებელ საბუთთაგანი, ერთი სამძიმო საბუთიც კიდევ ეს არის, რომ იმას, ანუ უკეთ ვსტყვათ, იმის ცოლს ბრუნის ბუშაყნიკი გამოაჩნდა. თქვენ იცით, დამან-შავე როგორც ხსნის ამ საქმეს, თუმც იმას უფლება ჰქონდა, სულაც არ ახსნა; ჩემი ამხანაგი იმის ახსნას არ სჯერდება პირველათ, ამისთვის რომ ის ბარდინის ცოლისაგან კამოღში შიგნი შიგან მიმალული იყო; მეორეთ ამისთვის, რომ პირველს გამოკითხვან ცოლმაც და ქარამაც ორივემ დამალეს, არცერთ ბუშაყნიკი ჩვენსა ვინ შემოიტანაო. მაგრამ ჩემის აზრით ეს იმისგან მოყვანილი დამტყუნებანი ადვილათ შეიძლება გამტყუნდნენ. თვითონ პატივცემულმა ჩემმა ამხანაგმა თავისს სახლში ძვირფასი ნივთი, რომ იპოვეს, იმ საათში წასულის სტუმრისგან დაიწყებულთ, განა არ იპოვეს და არ ეცდებოდა კარგს ადვილას სადმე მიმალოს. ვინემ დროს ჩაიგდებს ის ისევე პატრონს მიუბრუნოს? დარბაისენო, განა თვითული თქვენგანიც ასე არ მოიქცეოდა? მაგრამ, წარმოიდგინეთ, ის სტუმარი, რომელსაც ნივთი დაიფიქსა, სადაც ჩაი-ყლაპა, არავინ იცის, რა დავმართა, იცინ მხოლოთ, რომ ის თქვენსას იყო და თქვენს შემდგომ აღარავის უნახავს; თქვენ გვიტყვი-ბიან, — თქვენ ეუბნებით ჩენიდან ამა და ამ დროს წავიდაო, მაგრამ სად წავიდა არც თქვენ იცით; გაშინჯვენ სახლსა და იმ თქვენ-თან ყოფილი და შემდეგ დაკარგული სტუ-

მტყიკით, რომ 1848 წლის რევოლუცია მო-ხდა ასოციაციების უფლებებისაგან კი არა, არამედ მოხდა იმისაგან, რომ მმართველობას უნდოდა ხალხისათვის წაერთვია ეს უფლება. როგორცა ხედავთ, მე იმას ვგადაზარაობ, რაც უნდა, განვსაჯოთ. — ალექსანდრე რომ უარი უთხრა, ცვლილების მოხდენაზე დაიწყეს შეყრილობების (ბანკეტების) მოხდენა. ამაზე ლაპარაკის სიმატით მაქვს, რადგანაც ეს გარე-მოება თქვენს მოხსენებშია მოტანილი. თუ ახლანდელი საქმეების მდგომარეობა მაშინდელ-ლსას ემსგავსება, ეს ჩემი ბრალი არ არის. **შ.** ალექსანდრე ვგონა, რომ ხალხი სრულე-ბით არ აფასებს ასოციაციების უფლებასა და ამ უფლების დაცვა არ უნდა. ისევე ამას ამბობდნენ ამ ხლო ხანებში ბეკვილის თავის-უფლების შესახებ. **მ.** პოპოვიამ ამაზე ბანკე-ტებით უპასუხა. მართი ბანკეტი პარიჟში მო-ხდა; მაგრამ ბანკეტებში მონაწილეობა ჰქო-ნდათ შემდეგ და საზოგადოებისაგან პატივცე-მულთ პირთა. მმართველობა რომ დასთა-ნხმებოდა და რამე დაეთმო იმ დროებში, დღის აქამდის რატოღე დარჩებოდა. ამაში მდგომარეობს საქმე. მხლა თანხმა ხართ დამობაზე. რომელსაც ვთხოვენ თუ არა? მაშინ დაიწყო აგიტაცია (წინააღმდე-გი მოქმედება) მშვიდობიანურის სახითა, მაგრამ სამწუხაროთ შრანციის კაროლია ასა-რეზიდენტად გამოხელა მოიხურვა. კაროლია წამო-სთქვა ეს შეხედებით სიტყვები: „მულის თქმა-თა და ბრმა ოცნებობისაგან მოხდენილ აგი-ტაციაში, მე მკვიდრთა ვარ იმაზე, რომ ჩემნი დაწესებულებანი გაძლიერენ ღონის ძიებას დავამარცხოთ ყოველივე დაბრკოლება და დაეკამყოფილოთ მატერიალური (ნივთიერი) საჭიროება მხარისა.“ **მ.** პოპოვიამ ამ სიტყვებს მოჰკიდა. კაროლის გეგმის თანა მკვდარნი კაცნი ურჩევდნენ, რომ კაროლს თავისი სი-ტყუა გადაეთქვა. მინისტრს ბიზოს არც კი უნდოდა მოესმინა რამ ცვლილებაზე. ალექსან-დრე უარს ამბობდა პალატაში ასოციაციის უფლებებზე. დიდმა ნაწილმა უარისთქვა მონა-წილეობაზე ბანკეტში, რომელიც თორმეტი მაზრის დეპუტატებმა მოახდინეს; ოპოზიციამ ამ ბანკეტში მონაწილეობა მიიღო. **მ.** პოპოვი-ციის წერილში იყო მოხსენებული: „რადგანაც უარს ამბობენ ასოციაციებს გამართვის უფლებებზე, წინათვე ნების დაურთველათ, ამის გამო ჩვენ აღვიარებთ თქვენს ბანკეტსა, ღონისძიებათ, რომლითაც უნდა დავიცვათ ზემოხსენებული უფლება თვით მნებლობის წარტაცებისაგან. ამისგანთ ვალათ ვრაცხოთ, რომ მონაწილეობა მივიღოთ ამ მშვიდობიან-ურს მანიფესტაციაში.“ პრავის არ გვიფიქრია მმართველობის გადადგმა. მმრთელობას შეეცუო, რომ ბანკეტი თებერვლის 22-ს მოხდებოდა. პარგთ იმის წინათ კაროლს წარუდგენთ თხოვნა იმ ცვლილებებზე, რომელსაც საჭიროთა ვხედავდით. ჩვენ ეთხოვდით რომ ამომრჩევლთ რიცხვი მომატებულ იყო ერთის ათასითა. კაროლი დარწმუნებული იყო თავის გამოცდილებებზე. ამას გამო პრინციპა ჭეშმარილად, კაროლის ძმამ წერილი მისწერა კაროლსა (როგორც ეხლა პრინციპა ნაპოლეონმა მისწერა იმპე-რატორსა) და თავის მწუხარებას აცხადებდა, რომ თავის თავის დანდობით კაროლი საში-შრობის წინააღმდეგათა მოქმედებს. საშიშრო მდგომარეობა მინც არისო. საქმეთ მდგომარეობა შინა-სახელმწიფოში და გარეთაც ძა-ლიან სატირელია. მმართველობა პალატის წინაშე ისეთ მდგომარეობაში გამოდისო, რომ მე (პრინციპა შუანეილისას) ძალიან მა-შინებსო; მაგრამ მართო ეს პრინციპი არ იყო შემოთავაზებული. მარზალს ჭერარს უნდოდა კაროლი დაეთანხმებინა, რომ დაეთმო ცვლი-ლებების მოხდენა. კაროლი უპასუხა: „თქვენ ეხლა არც პარიჟს იცნობთ, არც შრანციასა,“ როდესაც კიდევ სხვანი რჩევას აძლევდნენ კაროლსა, ის შეუწყველათ იდგა. რა ჰქმნა

დღის წინათვე, მაშასადამე იმისთანა დროს, როდესაც შეყრილობა ძალიან საჭიროა. თქვენ პროექტში ისეთი დაწესება შემოგიტანიათ, რომ იმის საფუძვლით შეიძლება კანდიდატს წაერთვას პოლიტიკური სიმატლეთ ამორჩე-ვის წინა დღესვე. თქვენ პრეფექტებსა და მე-რებს უფლებას აძლევთ დაშლონ ყო-ველ გვარი შეყრილობა. მანა ეს პროგრესია? ბავიშვიტებმა მმართველობები მაშინ არიან ძლიერნი, როდესაც თავის დროს დასთმობენ ცვლილებებსა. საზოგადო ჰაზრის წინააღ-მდეგ მოქმედება ფეხქვეშ საფლავის მოთხრასა ჰგავს. თუმცა თქვენ ეს კანონის პროექტი ნ-ბიჯის წინ გადადგმა გგონათ. მაგრამ ეს მხოლოდ მახეა, რომელსაც, თქვენის სურვი-ლის წინააღმდეგ, უგებთ მომავალ ამორჩე-ში კანდიდატებსა. მე ამ კანონის პროექტის სასარგებლოთ ხმას არ მიეცემ, თუ საფუძე-ლიანათ არ შესცვალეს. (მარცხენა მხარე უწო-ნებს).

ტექნოლოგიის მიღებულობა

ლონდონი, მარტის 8-სა ბილლი, საზოგა-დო პალატაში შეტანილი შესახებ ამო-ჩვევის რეფორმისა ირლანდიაში, შეიცავს ისევე ძველ ცნებსა საგრაფოებისათვის და სხვა ნა-წილებში ანგლიაში მიღებულ რეფორმასა ჰგავს. — საზოგადო პალატაში უ. ბლად-სტონი ორ შაბათს წინააღმდეგს წარმოა-დგენს ეხლანდელ ეკლესიის მდგომარეობაზე ირლანდიაში. **ბრინსტი**, 8 მარტს. ალექსანდრიდგან (მეგობრებში) ამბავია, რომ აბისინიის ხელმწი-ფე მაგდალამია თავისი ჯარითა, ტყვეები კარგათ არიან. ანგლიის ჯარი ძალიან კარგათ იმყოფება. **ვენეცია**, 9 მარტს. ღღეს მოიტანეს გე-მი დანიელ მანინის (რესპუბლიკის პრეზიდენ-ტი (თავი) იყო 1848 წელსა ვენეციაში, პარი-ჟში იყო დამარხული). მშენიერად გაჩირა-ღდებული ნაგებობა (ბონდოლებით) დახვედა ხალხი. რკინის გზის სტანციიდან გვამი დი-დის დიდებით გადაიტანეს წმ. ზაქარაის ეკლეს-იაში, სადაც დაუხვედნენ მუნიციპიის დეპუ-ტატები და მუნიციპიის რჩევა. ღღეს დილი-დამ ქალაქი შეის ბაირაღებით არის მოართუ-ლი. **ფლორენცია**, 11 მარტს. ბენერალ პოტიეს შრანციის ბრიგადისას ბრძანება მოუ-ვიდა, რომ რომიდამ დაბრუნდეს შრანციაში. მეორე ბრიგადა რომელშიაც 4,500 ჯარია, უნდა დარჩეს ბრძანების მიღებამდის ჩივიტა-ვეკიაში. ბენერალი ღღემონი რომიდგან გაე-მგზავრა. **ბერლინი**, 11 მარტს. იმპერატორების უმალღესობა მეგვიდრე ცესარევიჩი დაესწრო ბერმანის საკეშირო პარლამენტის შეკრე-ბილების გახსნასა ბუშინ მისი უმალღესობა პრუსიის მეგვი-დრის პრინციის ვაჟის ნათლობაში ბრძანდ-ებოდა ნათლიათა. მისი იმპერატორებითი უმა-ღლესობა დღეს საღამოზე ნიციას მიმბანდბა. — 12 მარტს. მაშინგონიდან მოსულის დებეშით გუშინიდან, გაცნობებს რომ პრე-ზიდენტზე ბრალსადებ პუნქტების გამოკითხ-ვა დღეს უნდა დაიწყებოდეს. პრეზიდენტის ჯონსონის მოსარჩლე არღვეს ბრალსადებ პუნქტებსა. პრეზიდენტმა სთხოვა 30 დღე გა-დასდგან გამოკითხვა, რომ პასუხის მისაცემ-ლათ მომზადდეს. სენატმა უარი სთქვა ამ თხოვნაზე 41 ხმის ჭარბობით 12 ხმის წი-ნააღმდეგ. **ლონდონი**, 11 მარტს. საზოგადოთ პა-ლატის კრებაში **შ.** ბლადსტონმა სამი გარდა-წყვეტილება წარადგინა, ამათი შინაარსი შემ-დგება: სახელმწიფო სარწმუნოება, როგორც დაწესებულია, ირლანდიაში უნდა გაუქმდეს; მხოლოთ ამის გაუქმებასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ პიროვანი ინტერესი და სა-კუთრების უფლება.

მრის ძვირფას ნივთებს პოლონურ-წინაწინ მიხედვით არ შეკრებოდით, არ ეცდებოდით ისე მოქცეულიყავით, რომ ბრალი თქვენ არ დაგდებოდათ, და თუ რაიმე ტყუილი შესაძლებლათ პოვნებდით, განთავსდებოდით...
...
შეიძლება ვთქვათ, რომ ბარდინერს და დარწმუნებული წამოვიდა, რომ ის ალა-მართალი იყო. ამ შემთხვევაში უფრო შეაწი-ნა და შეაფრთხილა ნაფიცნი და მოსამართლე-ნი, მაგრამ ვი! საქმე გათავებული იყო და იმისი ხელმეორეთ გადაკეთება შეუძლებელი და იყო. მეორე დღეს საუბედურო გასამარ-თლება აღსრულებადი მოიყვანეს. ბარდინერი გულდამწვიდებული და მგრაით იყო; როდესაც ეშფოტის (სახარბიელის) კიბებზე ავიდა, იმან ხმა მალა წარმოსთქვა: „მეორე ხე-დავს მე ალაღმართალი ვარ, ჩქარა იქნება თუ გვიან თქვენს შეცდომილებას შეიტყობთ და მაშინ ნანვას დაიწყებთ, მაგრამ უდროვო და იქნება; ჩემი სისხლი თქვენ გვდებათ კისერ-ზე“!

ბარდინერის სიტყვა გამართლდა. ჯერეთ ხუთს წელიწადსაც არ გაველო იმის დასჯის შემდეგ და იმავე სამთავროში ერთს კაცს სიკვდილით დასჯა გაუსამართლეს. ის იყო მსოფლიერი, რომელსაც ბრძელ-შემკე-რელს უწოდებდნენ, იმას ბევრს კაცის-კელას და ცარცვას აბრალდებდნენ. სიკვდილის წინათ მსოფლიერი საქვეყნოთ გასტყუა ბრუნის კელაში; ისე დაწერილებით ილაპარაკა ეს შე-საძრწუნებელი საქმე—ბრუნის კელა, რომ სრულებით აღარ შეიძლება ვინმე ექვე-შესულიყო და ეს იმისი გატყუა მართლათ არ მიეღო. მოსარჩლის ლაპარაკი წლების ზომი-ზე გამართლდა, ვგრეთვე ბარდინერისაგან ბუმბუქის პოვნაც გამართლდა, თუმცა მო-სამართლებს და ნაფიცებს მაშინ ეს სრულე-ბით არ ეჯერებოდათ. ამ გვართ ალალ მარ-თალი კაცი დაიბანჯა შესაძრწუნებელი სი-კვდილით დამხრჩობის ხელით, მაგრამ კაცის ხელში აღარაფერი არ იყო; იმას აღარ შეეც-დო ცოტათი მიანც. გავეწორობინა თავისი მეტის მეტი უსამართლობა. ჯიღბერი (ბრუ-ნის მოსამსახურე) ორ კვირეს უკან ბარდი-ნერის დასჯის შემდეგ ქუთუხედ შეიშალა და გვიხების სახლში წაიყვანეს, იქ ექვსი თვის შემდეგ მოკვდა.

ამბობენ, რომ თითქმის ყველა ნაფიცებს, ვინც ამ პროცესში ერივნენ, სხვა და სხვა გვარი უბედურობა შემთხვევით: ერთმა თავი მოიკლაო, მეორე ქუვიდგან შეიშალაო, მესამე გასაწყლდაო, მეოთხემ ცოლი დაკარ-გაო ჯვარის წყრის მეოთხე დღეს, მეხუთე სა-სჯელის ქვეშ ჩაიარდაო და სხვა. პოველ გვა-რი იმათი უბედურობა ხალხმა მიაწერა ლეთის მაგიერის პასუხის ძლევას „უსამართლო სას-ჯელისათვის“. და ამ სახით გარდინერის სიტ-ყვები ახდა: „ჩემი სისხლი თქვენ გვდებათ კი-სერზე“!

ბელს. ჯერ ჩვენ თავდაზნაურობას იმდენი ცოდნა არა აქვს იცოდეს, რომ მხოლოდ ერთად ერთს გონივრულ შრომას შეუძლიან იმის ცხოვრება გაუმჯობესოს და გაფაქიზი-ანოს. მხოლოდ ვინც მუშაობს, გლეხია, თუ თავი, ისიც უნაგარიშოთ, უნაყოფოთ მუ-შაობს. ამის გამო ჩვენ ყველანი თავით-ბო-ლომდინ ლარიბ-ლაციანი ვართ, და ვალეგი-საგან თავები მაღლა ვერ აგვიწვინა. მაშაბა ახლა იფიქრე, მკითხველო: კაცს რომელი ურჩევნია ორ ქითაგან: ვალი თუ ყმაობა? რომელი უფრო ჭიკაბავს კაცს: ვალი თუ ყმაობა? მე ვგონებ, რომ ცხოვრებაში ცენი ორნივენი და მძანი იყვენ. მაგრამ მე ვფიქ-რობ, რომ ქუთუ გონებას კაცს ვალი უფრო უნაგარავს, ვიდრე ყმაობა, თუმცა ცენი ორნი-ვენი ერთს პრინციპს ემორჩილებიან. მსენი ორნივენი კაცს თავისუფლებას ართმევენ, მა-გრამ აბა წარმოიდგინე, მკითხველო: ბატონის უვალიყო ყმა და სამხის ღარიბი ვალის ამღები რომელს უფრო თამამი ცხოვრება აქვს? რო-მელი უფრო ცოცხალია და თავის უფალი მოაზრე, დაღონებული და დაფიქრებული? რომელი უფრო შეუბოვრად და კაცურად ცხოვრებს? სიმიდრე კაცს უხსნის მოსაზრე-ბას და გამბედაობას; მოგებული ფული კაცს აიმედოვებს თავის ღონეზე; იმდს აძლევს თავის ქუთუზე. ძაკი რომ გამოიდრდება, მა-შინ ის იცავს თავის სიმიდრეს მტაცებელ-თაგან; ერთის სიტყვით არაღის ნებას არ ძი-ლევს, რომ მის საზარლოთ ვინმე მოკმედ-დეს. ის ყველასთან ამაყი, თამამი და დიდგუ-ლია, და თავის სიციცხლეში მხოლოდ ერთი ის და გაგონდება. რომ ბატონისაგან თავის უფლება მოიპოვოს. ასეთი არ არის ღარიბი კაცი. იმას ქუის მეტი არაფერი ახსოვს, ის დაფიქრებული და დაღონებულია. ის გაქე-ლილია სიღარიბისაგან. ის ყოველს ძალას და სიკაპასეს ემორჩილება. ჭველას წინ ცურავს, იკუჭება, მცირდება და შიშობს სულ კისერ-ში მუშტს რომ სცემენ, მიანც ხმას არ იღებს ყველაფერში სხვას ენობა, სხვისგან მოწყა-ლებას და შემწობას ითხოვს, თავისუ-ფლების და საკუთრების დაცვა არ შე-უძლიან. მართს სიტყვით ის ჯერ მონაა თა-ვისი სიღარიბისა, მერმე ვალის პატრონისა. მალის პატრონს დინახავს თავს ჩაკიდებს, მოხარკვს, მეველებს და დალაქს დინახავს პირს ააქცევს და მათზე ლეთის რისხვას მო-უწოდებს; შინ რომ ცოლ-შვილი აუტირდე-ბა შიშობილით და სიცივით, მაშინ კიდე ცრემ-ლით მორეულს თავლებს თავის სიღარიბეს არიდებს; ასრე თუ ისრე მიანც ბრუნდება. ამით ის, რასაკვირველია, ცხადთ გამოთქვამს, რომ ის სიციცხლეს უწყობა და ემდურება.

ამა ახლა, მკითხველო, ის იფიქრე: შეუძ-ლიან ღარიბ გლეხ-კაცს გულიანათ იმუ-შავოს? მოიგებს, თუ არა ვალის ამღები, მოვალეს მიაქვს. ამის გამო ესენი იმას ფიქრობენ, რომ მათ თავიანთი მონაგარი თვითონ არ შერჩებათ და ყველაფერს სხენი გამოაცლიან ხილიდ-გან. აქამდე ბატონ-ყმაობა და ეს ჩენი დიდი ვალები იყვნენ მიზეზნი, რომ ჩენი სასოფ-ლო მეურნეობა არ გაიხსნა; ახლა პირ-ველი მოიხპოა, მეორე კი ისევ ღონივრათ მოქმედებს.

მე შემოთა ესთქვი, რომ ჩვენში ჯერ აქამო-მდე მხოლოდ გლეხნი მუშავებენ, უჭირავთ ხელში მთელი სასოფლო მეურნეობაო. ამ-აში ექვი არ არის. ბლეს კაცი უგებს საზრდო საცხოვრებელს აზნაურს, თავადს, მღვდელს მოხელეს და თავის თავს. ამის გამო ეს შრო-მა მით უფრო უსამომრეო არის იმისათვის, რომ ამ საქმეს მის მეტი ხელს არაღინა ჰკი-დებს, და თვითონ იმასაც მხოლოდ ერთ უსი-ამოვენების მეტს არა ვითარს ხეირს არ აძ-ლევს, ჩვენში თუმცა ბატონ-ყმაობა გათავდა, მაგრამ ვინც ქუთუანია და მდიდარი, ის მა-ინც და მიანც დღესაც შოულობს თავისა-

პოპულარული ინფორმაციები.

აქ სად მოხულებარ?... რაც დაპარე და რაც დატოვე მის მაგიერი ტილისშია აბა არ მოვიყ?

მე ექვი არა მაქვს, რომ ჩვენ ქართველები ყველანი სასოფლო მეურნეობაში შეთხუ-მამეები ვართ. არც მე, არც თავადმა, არც აზნაურმა და არც გლეხებმა არ ვიცით რა გვა-რათ უნდა ვიმუშავოთ, ჩენი ყველასი შრო-მა უნაგარიშო არის. მაგრამ ეს რა ესთქვი? ჩვენში ჯერ ერთი გლეხ-კაცის მეტი არაღინ მუშაობს, თავდა-ზნაურობა ამას არ იკად-რებს; მაგრამ დახე, კიდევ შემცდა. მხლა ხომ ბატონ-ყმაობა გათავდა. მაშ ვინ უმუშა-ევებს ბატონს, თუ არა თვითონ თავისი თავი? მაშ თუ თავის თავს ეხლა თვითონვე არ უგებს საზრდოს, მაშ ვინ უგებს? მინ უგებს—და ვალი. თვითონ მუშაობას არ კადრუ-ლობს და თუ რამე დააკლდება ცხოვრებაში, ვალს აიღებს და იშოვის საზრდო-საცხოვრე-

ბელს. თავდა-ზნაურობას იმდენი ცოდნა არა აქვს იცოდეს, რომ მხოლოდ ერთად ერთს გონივრულ შრომას შეუძლიან იმის ცხოვრება გაუმჯობესოს და გაფაქიზი-ანოს. მხოლოდ ვინც მუშაობს, გლეხია, თუ თავი, ისიც უნაგარიშოთ, უნაყოფოთ მუ-შაობს. ამის გამო ჩვენ ყველანი თავით-ბო-ლომდინ ლარიბ-ლაციანი ვართ, და ვალეგი-საგან თავები მაღლა ვერ აგვიწვინა. მაშაბა ახლა იფიქრე, მკითხველო: კაცს რომელი ურჩევნია ორ ქითაგან: ვალი თუ ყმაობა? რომელი უფრო ჭიკაბავს კაცს: ვალი თუ ყმაობა? მე ვგონებ, რომ ცხოვრებაში ცენი ორნივენი და მძანი იყვენ. მაგრამ მე ვფიქ-რობ, რომ ქუთუ გონებას კაცს ვალი უფრო უნაგარავს, ვიდრე ყმაობა, თუმცა ცენი ორნი-ვენი ერთს პრინციპს ემორჩილებიან. მსენი ორნივენი კაცს თავისუფლებას ართმევენ, მა-გრამ აბა წარმოიდგინე, მკითხველო: ბატონის უვალიყო ყმა და სამხის ღარიბი ვალის ამღები რომელს უფრო თამამი ცხოვრება აქვს? რო-მელი უფრო ცოცხალია და თავის უფალი მოაზრე, დაღონებული და დაფიქრებული? რომელი უფრო შეუბოვრად და კაცურად ცხოვრებს? სიმიდრე კაცს უხსნის მოსაზრე-ბას და გამბედაობას; მოგებული ფული კაცს აიმედოვებს თავის ღონეზე; იმდს აძლევს თავის ქუთუზე. ძაკი რომ გამოიდრდება, მა-შინ ის იცავს თავის სიმიდრეს მტაცებელ-თაგან; ერთის სიტყვით არაღის ნებას არ ძი-ლევს, რომ მის საზარლოთ ვინმე მოკმედ-დეს. ის ყველასთან ამაყი, თამამი და დიდგუ-ლია, და თავის სიციცხლეში მხოლოდ ერთი ის და გაგონდება. რომ ბატონისაგან თავის უფლება მოიპოვოს. ასეთი არ არის ღარიბი კაცი. იმას ქუის მეტი არაფერი ახსოვს, ის დაფიქრებული და დაღონებულია. ის გაქე-ლილია სიღარიბისაგან. ის ყოველს ძალას და სიკაპასეს ემორჩილება. ჭველას წინ ცურავს, იკუჭება, მცირდება და შიშობს სულ კისერ-ში მუშტს რომ სცემენ, მიანც ხმას არ იღებს ყველაფერში სხვას ენობა, სხვისგან მოწყა-ლებას და შემწობას ითხოვს, თავისუ-ფლების და საკუთრების დაცვა არ შე-უძლიან. მართს სიტყვით ის ჯერ მონაა თა-ვისი სიღარიბისა, მერმე ვალის პატრონისა. მალის პატრონს დინახავს თავს ჩაკიდებს, მოხარკვს, მეველებს და დალაქს დინახავს პირს ააქცევს და მათზე ლეთის რისხვას მო-უწოდებს; შინ რომ ცოლ-შვილი აუტირდე-ბა შიშობილით და სიცივით, მაშინ კიდე ცრემ-ლით მორეულს თავლებს თავის სიღარიბეს არიდებს; ასრე თუ ისრე მიანც ბრუნდება. ამით ის, რასაკვირველია, ცხადთ გამოთქვამს, რომ ის სიციცხლეს უწყობა და ემდურება.

ამა ახლა, მკითხველო, ის იფიქრე: შეუძ-ლიან ღარიბ გლეხ-კაცს გულიანათ იმუ-შავოს? მოიგებს, თუ არა ვალის ამღები, მოვალეს მიაქვს. ამის გამო ესენი იმას ფიქრობენ, რომ მათ თავიანთი მონაგარი თვითონ არ შერჩებათ და ყველაფერს სხენი გამოაცლიან ხილიდ-გან. აქამდე ბატონ-ყმაობა და ეს ჩენი დიდი ვალები იყვნენ მიზეზნი, რომ ჩენი სასოფ-ლო მეურნეობა არ გაიხსნა; ახლა პირ-ველი მოიხპოა, მეორე კი ისევ ღონივრათ მოქმედებს.

თვის მონებას და თავის სასარგებლოდ მუშა-ობს. თავის მონებას და თავის სასარგებლოდ მუშა-ობს. თავის მონებას და თავის სასარგებლოდ მუშა-ობს. თავის მონებას და თავის სასარგებლოდ მუშა-ობს.

ზღვების პირ-და-პირი ანგარიში იმაში კი არ მდგომარეობს, რომ საქმე კარგათ გაკეთოს, არამედ იმაში, რომ იმან ერთგულათ არ ამუ-შავოს, არც თავისი ხელი და არც თავისი ტყუა—გონება. ჭველა საქმეში თითქმის კაცი მოიგონებდა რასმე თავის სამუშაოს გასაუმ-ჯობესებლათ; იმათი მოგონებაც ძნელი არ იყო, ამისთვის, რომ ნაკლულევიანება ყველას თითქმის თავლში ელანდება, ოღონდ კი გლე-ხი ერთი ცოტადნათ დაფიქრდეს; მაგრამ ვინ იკისრებს იმას, თუნდ რომ ის ძლიერ ცოტა შრომასაც მოითხოვდეს მისგან. ზღე-ხი ამას არ გაბედავს ჯერ ამისათვის, რომ მისთვის საჭირო არ არის სამუშაო ხელო-ბის გაუცეთესება. ამის გამო ვიდრე სამოქ-მედო ხელოვნება ვალის ამღების ხელშია, იარაღების გაუმჯობესობა და საქმის გაუქ-თესება თითქმის არაოდეს არ შეიძლება. აბა იქ იარაღები როგორ გაუქეთესდება, სადაც ერთი გლეხი მეორე გლეხს ასწავლის ხელო-ბას, როდესაც ხელობა ერთი შეუძლებელი ხელიდამ მეორე ღარიბის ხელში გადადის, მაშინ ის მუდამ არ ვარგობაში მოდის; და ამისთვის საზოგადოება მუდამ ღარიბდება, და ამ შემთხვევაში ის თავის უბედურობას მხოლოდ მაშინ ხედავს, როდესაც საქმე სრუ-ლებით წამხდარია, და აღარ გასწორდება. მე-რე ამ გვარ მდგომარეობაში კაცი წინანდელს ხელობას თავს ანებებს და სხვას მიჰყოფს ხოლმე ხელს, რადგან საზოგადოება უკან მი-დის და ნელ-ნელა ირღევეა. ასე მოხდა მაგ. რომის ისტორიაში მის არსებობის უკანასკ-ნელს დროს. მუშაობის ხელობა მხოლოდ მონებს ეჭირათ ხელში. დიდ-კაცობა მუშა-ობას არ კადრულობდა. ამისთვის მთელი ხალხის გამოკლება დაბალს ხალხს ედვა კი-სერზე. სასოფლო მეურნეობა მონების მეტმა, როგორც ცხლა ჩვენში, სხვამ არაღინ იცოდა. ამის გამო ნაყოფიერი ადგილები ძლიერ გა-ღარიბდნენ. მამულის პატრონებმა როდესაც ნახეს, რომ მიწა მოსავალს წლით-წლად მუ-დამ კლებულობს, ალუკრძალეს მონებს ხენა-თესვა და თავისი მინდვრები საძოვრათ აქცი-ვეს, მხენელ-მთესველები კი მეძროხებათ.

სწორეთ ამ გვარ მდგომარეობაში არის ეხლა ქიზიყი. აქ ეხლა მოსავალი არ მოდის. ამის გამო ეხლა ბევრი კაცი არც კი ხნავს და სთესავს. მს არის მიზეზნი, რომ ქიზიყში თითქმის ყველას ვალები მართებთ, და მოვა-ლებს რაცა სურთ იმას უშერებინან გლეხებს. იმათ ხმის ამოდება არ შეუძლიანთ. მათ და-უეკითხვათ ვალის პატრონი მოდის იმათ წლის მოსავალს ბეჭდავს და მერე, როცა მოსწად-დება, მაშინ მიაქვს. მე ბევრჯელ შემიტყვია და მინახავს, რომ მოვალე მოსულ იყოს, დაყებუდლოს ქვეყნებში გლეხ კაცის ღვინო-ები, და ქიზიყელი კისერ გადაუდებული და აღმუთებული დადიოდეს, ან ერთი საწინე-ლი ჩხუბი აეტყენოს და ეთქვას: „მე დალო-ცვილო! ღვინო სულ შენ რომ წაიდე, მე რაღა დავლიო და მღვდელს განწესებაში რა მიეცე, ფოშტის ფული საღ ვიმოვნო, ათასი სასოფლო დაეიდარბები მოგივიდა და რით მოვიშროო ეს ყველაფერი; მე ერთი ღვინის იმედი მქონდა და ეგეც შენ წაიდე. მოიტა ერთი შეიდი-რვა მანეთი მიანც არის მომეცი, რომ ეს წერილი ვალები, ზოგი ვისი მმართველს და ზოგი ვისი, მოვიშროო—მაწუხებენ.“ მა-ლის პატრონი ამ უკანასკნელ თხოვნისათვის ქიზიყელს უნაზდება და ეუბნება, ვითამც გუ-ლი სტყია: „არა შეილო ვერ მოგცემ; ჯერ რაც ვალები გაქვს, ისიც ვერ მოგიშორებია და ეხლა შენ კიდევ ფულებს განაღებ? მივი ხომ არა ვარ: მე შენთვისა ეწუხებარ, მე თვი-



თონ მოვდივარ ვენახს ვკრეფავ, რომ რა არის ვალები მოგაშორა; შენ კი მე მეხუბუბები. არა, ვერ მოგცემ, მე შენ ცოლშვილის ცოლდაში ვერ ჩავედგები.— მისი ცბიერება იცის ქიზიყელმა და ამისათვის ეუბნება: „ენლა მაგის მეტს რას იტყვი, შვილო, შენ ნაზობ ამისთვის, რომ გასურს ერთი ორათ მიანგარიზო და წამართო, აი როგორც ეხლა, და მე კიდევაც მუთათი მქონდეს შენთან.“ — შენ რომ კარგი კაცი არ იყო და ვერეთი ტკბილი ენა არა გქონდეს, ლმერთმან იცის, რომ არ მოგცემდენ, ეუბნება ვალის პატრონი, და მერე აძღვეს და თანაც უხარია, რომ ვალს მიანც ისევე არაფერი აკლდება და იმას კი ერთი ორათ მიექს. მინახავს და შემიტყვა აგრეთვე ისიც, რომ მრავალი ქიზიყელი, რადგანაც ვალის პატრონებისა ეშინიანთ, ამისათვის თავიანთ მოსავალს, უფრო მომეტებულიათ ღვინისას, სხვაგან მეზობლისას მალევენ, მაგრამ ასრე კი ცრუობენ: „ამა და ამ კაცის ფულეები მმართველა და იმას მიცეცია.“ რასაკვირველია, რომ ქიზიყელის გარეშე მოვალეებს გარდა ერთმანერთის ვალებიც მართებთ. თითქმის იმისთანა ქიზიყელი არ არის, რომ ვალი არა ჰქონდეს, მაგრამ, ნუ გიკვირს მკითხველო, რომ იქნება არც იმისთანა იყოს, რომ ქიზიყელს ქიზიყელზე ფული არ ჰქონდეს გასესხებული. მს ფულეები გასესხებით იმნაირათ არიან ერთმანერთში გაბმულნი, რომ ისინი თვითონაც კი ერთი ერთმანერთს სტარცვენ, მაგრამ თვითონ არ ესმით და ჰგონებენ, რომ ისინი ვითომც იგებენ. აი ამის თავიდაზე რა მიაბო ჩემს ღირსმა ქიზიყელმა ნათლი მამამ: ამან მიაბო, რომ მე ოცდა ათი თუმანი მმართველა ჩემი სოფელი კაცებისა; მაგრამ მეც სხვაზე მექვს გასესხებული ხუთმეტი თუმანი ფულიო. მხლა თქვენ რომ ხუთი თუმანი ფული გასესხებოთ, დაუმტა იმან, ორ წლამდინ ოცი თუმანი ფული შესდგებო. მიზეზი ის არისო, რომ ფოშტის ფულისათვის ჩვენში. . . . ხალხს ძლიერ უჭირს ამ დროს ფულიო; ვინც ამ დროს ფულეს მოიტანს და გასესხებს, ვისაც უჭირს, უთუოთ ერთს ორათ მოიგებს და ვენახებს და სხვა მამულებს ხომ დაიგირავებს და დაიგირავებს.“ ამისი, როგორც მეც ვიცი არაფერია საეჭვო. მართლაც ქიზიყში კარგი ვენახები არიან. შვეტის ნაწილი ამთვანი მთაზე მოშენებული, რადგან ხალხიც დალისტენელსავეით მთაში სცხოვრებს. მს ვენახები არაოდეს არ ირწყვიან, ამისთვის, თუ გოლიანნი წელიწადია, ფუტუდებან უწყლოობით. მაგრამ ამით ისრე არაფერი აფუტებს, როგორც სეტყვა. აი ეს სამი წელიწადია, რაც აქ ვენახებს სეტყვა აოხრებს. წლეულსაც წაახდინა. შესანიშნავი ვენახები აქ არიან ვენახები ქუმბათისა და ხარისისა, რომელნიც არიან ვაკეზე და ირწყვიან. ამ ვენახების ღვინოები ქიზიყში გათქმულია. მაგრამ ეს კი უნდა მოგახსენო, მკითხველო, რომ ქუმბათის ვენახები ძლიერ დამბალ ნიადაგზე მდებარებენ, ამისათვის იქ კაცი დაუხამებელი ვერ გაღურჩება ხოლმე. მასადადამე, ჩემის აზრით, აქაური ღვინოც, თუმცა აქებენ, კაცის ჯანისათვის მავნებელი უნდა იყოს.

მე ვგონებ, რომ ქიზიყელსავეით შეწუხებული და გაღარბებული ხალხი ქართველთაგან ცოტა იყოს; მასთანავე მურტლათ და უფაქიზოთ მცხოვრებნი. მთელი ქიზიყის ხალხი ერთად რომ შეკრიფოთ და თვალი გადაავლოთ მალლობიდა, უთუოთ იფიქრებთ: მთელი ეს ხალხი თავის სიღარიბისა გამო სამოწყალო სახლში წასვლას ხომ არ ემზადებაო. ესენი ყველანი, რომელთამე ჩხეულთა გარდა, გაწევილ და გავერტილ ცისფერ ხამებში არიან გახეულნი. დიდს უსიამოვნებას მოჰგვრის ხოლმე კაცს, როდესაც მათ ამგვარ ტანსაცმელში ხედავს. საწყევლოთ ნუ მიიღებ

მკითხველო, თუ ესთქვი, რომ ქიზიყის ერთი სოფლის ტანისამოსი რომ ეხეწო რიგაინი კაცი ორ თუმნათ არ იყიდის, ამისათვის რომ არა ღირს ამ ფასათ. ინგლოები კიდე აქაურს ხალხს და მათს ცხოვრებას, დალისტენის ხალხს და მათ ცხოვრებას ადარებენ. „ქიზიყის ხალხია, ამბობენ ისინი, დალისტენელებსავეით ღარიბნი და უმახვილოთ მცხოვრებნი არიანო.“ მართლაც რომ ესენი დალისტენელებსა ჰგვანან. მთელი მათი შინაური მოწყობილება დალისტენელების შინაურს მოწყობილებასა ჰგავს. აქაც და იქაც სოფლები არის დაშენებული კლდეზე. სახლები აშენებულია ზოგი მიწას ზევით, ზოგი გამსავით მიწაში ჩადგმულია. შინ ავეჯულობა მიყრილ-მოყრილათ ძვეს და მათ შორის სუფეხს მთელის თავის დიდებით უფაქიზობა. აქაც და იქაც კერას გარეშე მხდობა და ცუდ უბრალოთ ყაყანი იცინ. აქაც და იქაც სახედრებს შინაურს ცხოვრებაში ერთგვარი მნიშვნელობა აქვთ. როგორც აქ, აგრეთვე იქ სახედრები მრავალი არიან, უყვართ და გამოსადგენიც არიან, რადგან ორივენი კლდეზე სცხოვრებენ. აქაც და იქაც ყველაფერს ვირებით ვხილდებიან სოფლებში. საქონელს თითქმის მხოლოდ მინდორში აქვს მისთვის მნიშვნელობა; თორემ შიგ სოფლებში უფრო არ ხმარობენ. დალისტენელებსავეით აქაც წყალს და საწისქვილეს უფრო ღარიბები, სახედრებით ვხილდებიან. აქ მამაპაპური წისქვილები ძლიერ ბევრია კლდეზე მიკრულნი, რომელთაც ვიდრე ზედ არ მიადგები, ვერ დინახავ. ხელის წისქვილებიც ბევრი აქვთ. დალისტენელებსავეით აქაც თხუნველსავეით მიწაში ცხოვრებენ თავის უშინდურობით. ქიზიყელი ქათამს, ბატს, ინდოურს რომ გაბდგენის, ბუნებულს იქვე ან ცეცხლაპირში მოაგროვებს ან სადმე სახლის კუთხეში, რომ მერე გამოარჩიოს; სხვაგან არსად წაიღებენ, სირცხვილია. მართის სიტყვით ყველაფერი ისრე მიყრილ მოყრილია სახლში, რომ შეგეზიზღებთ, მკითხველო, იქ რომ შეხვიდეთ; ყველაფერს უცოდინარობის, სიმურტლის, სიჭუჭყის და სიღარიბის იმათი სიღნაღში ვაქრობა უფრო კარგათ ამტკიცებს. შევლა მვიცი, რომ კაცისათვის პურს გარდა საჭიროა კიდევ ტანისამოსი და ფული ხარჯში მისაცემათ,—სად შოულობს ქიზიყელი ამავს? რასაკვირველია, თავის დედა ქალაქში—სიღნაღში. ამ ქალაქის შესავალ გზებზე რომ დადგეთ დილით, ერთი და ორი არ დაგვხედებთ მიმავალი ქიზიყელი კაცი, მაგრამ უფრო მომეტებულიათ დედაკაცები თავიანთ ვირებით. მსენი ყველანი საბერძნეთის მემრთებსავეით თავიანთი თვითონი ჩადრებით სხედან ფარჩის დუქნებში და ვაჭრობენ. ქიზიყში უფრო დედაკაცები ვაჭრობენ, მეტარე ფარჩის ყიღაში, ვიდრე კაცები, რადგან პირველები უფრო კარგათ იცნობენ მათ ღირსებას, აგრეთვე შავათ ჩატული და ჩადრებში გახეული დედაკაცები მეიდანზე ორ თუ სამ რიგათ ერთ ხუთ ექვს საყენზე სხედან და კვერცხს, ქათამს, წვანოს, პინკარს, ბაღბას, წიწმატს, პინძს შეკრულ კონებათ და გამომცხვარ შოთა პურებს ნახევარ ფართ ჰყიდიან; მერე ამ ფულით იქვე ან ფარჩას ყიღულობენ, ან შინ მიაზიზნებენ, რომ სხვა საქიროებზე მოიხმარონ, ან კიდე ამ გვარ წვალებით თითო გროშობით ფოშტის ფული შეაგროვონ, ერთის სიტყვით გზაკალი ისრე ამისება ხოლმე დილით სიღნაღში მიმავალ აკონილ ტანსაცმელში გახეულ ქიზიყელ დედაკაცებთა და კაცებთა, რომ მათ გზაზედ ფეხს ვერ აუტყევი. მსენი ყველანი, დიდიც და პატარაც საზოგადო საცხოვრებელს დაემებენ; მაგრამ ყველანი, რაც უჭირთ, იქ ვერ შოულობენ. ამის გამო ისინი, იმერლებსავეით მოიფანტებიან

ხოლმე მთელ საქართველოში. მაგრამ ქიზიყელების გაჭირვებას ტალკვესი უფრო ზაქათალის ბაზრა არის. რა არის ამის მიზეზი? აცობობის ისტორია გვემოწმება, რომ უწინდელ დროში ბევრს ხალხებს თავიანთი მიწა-წყალი, რომ გაულარიბებით უცოდინარობისაგამო, მერე დამშეულან: ამისა გამო რომ უშელოვნ ახლა თავიანთ თავს, ისინი სხვა რომელსამე მდიდარ ქვეყანაში მცხოვრებ ხალხებს თავს დასხმინ, ამოუწყვეტიათ, ან გაუტყვიანათ, რომ რა არის თითონ იცხოვრონ იმათ ნაყოფიერ ნიადაგზე. მაგრამ თქვენ ნუ მომიკვებით მკითხველო, რომ ქიზიყელები ასრეთი არ იყნენ. მსენი თავიანთ ვაქაცობით არც უწინდელ თავიანთ მამა-პაპასა ჰგვანან და არც ამ მძლავრ ხალხებსა. მსენი იმათ წინააღმდეგ ღარიბნი და დამბლანი გამხდარან. მათი მიწა-წყალი თუმცა მდიდარია, მაგრამ თუ ადრიანი წელიწადი არ დაუდგა მოსავალს, არაფერი არ მოვს; მაგრამ თუ ადრები დაუდგა ნათეს მამის უყველია, ორი წლით წინ დათესილი და გვალვისაგან ამოუსვლილი ამოვა მიწიდან და ისრეთ მოსავალს მისცემს ეს ნაგვრალი, რომ ახალ ნათესს არ დაუვარდება. ასრე მოიქცა მაგ. ქიზიყის ბუნება 1866 წელს, ვერ გვალვისაგან პურის მოსავალი სულ წახდა; მაგრამ თიბათეის ისრეთი ადრები ასტყდა, რომ ნაგვრალი ფეტვეში გენახათ, გაგვიკვირდებოდათ. ამ გვართ წარსულს წელს ქიზიყელს პასუხის მაგიერი მოსავალი ფეტვეს მისცა. შეველეოა, რომ ქიზიყის ბუნება მდიდარია; მაგრამ უწყლობა აჭირებს საქმეს; ამისა გამო, მიწა რომ საზრდოს არ აძლევს ქიზიყელს; მაშინ იმას თავი უჭირდება და მოხევეწება ზაქათალის მარაში, რომელიც არამც თუ ქიზიყთან შედარებით, არამედ მთელს საქართველოსთანაც, მეტის მეტათ ნაყოფიერია მოსავლით. ქიზიყელს ბუნება უარს ეუბნება მოსავლის მიცემაზე, მის გამოკებაზე და ამისათვის ისიც აქ ზაქათალის მარაში მოდის, რომ სიმშლით სიკედლის თავი არიღოს; ერთი გონიერული ანდა-ზაა: „ურთა გაღარბდა და ძველ ვალებს დაუწყეო თხოვნაო“. სწორეთ ასე მოუვათ ხოლმე ქიზიყელებსაც. თუ იმის ქვეყანაში მოსავალი კარგი მოვა, ზაქათალის მარას ნახვას არ აღირსებს, შინიდათ თავს კარზე არაოდეს არ გამოაწყოფს; მაგრამ თუ უბედურება ეწვია და მისმა ქვეყანამ საწლო საცხოვრებელი არ მისცა, მაშინ ისევე თავის ძველს მეგობარს მოძებნის და დაუწყებს საცემაგის თხოვნას. მენდე მკითხველო, რომ უმოსავლო წელიწადებში ამისება ხოლმე ეს მარა ქიზიყელებით. მსენი ზოგნი დროებით მოშეობენ ზოგნი კიდევ მოჯამაგირეთ წლობით და ნახევარ წლობით უდგებიან ინგილოებს; ზოგნი მეძროხეებთა, ზოგნი კიდევ საყდრის ყარაულეებთ დგებიან; მაგრამ ამითი გასაკვირი ეს არის, რომ არაოდეს ყველს არ შეასრულებენ. ამათათი პირველ დადგომანსედე გამოართმევს თავის აღას ინგილოს ან მთელი წლის ჯამაგირს ან ნახევარს, შემდეგში ორ თვეს, თუ სამს, უმსახურებს და მერე დაიპარავს ნიეთებსაც სახლიდამ და გასწევს ქიზიყში უსინიღისოთ; ძლიერ იშვითად იქნება, რომ იმათში სინიღისიანთ ვინმე ყველი შეასრულოს და პატროსნათ მიიღოს დაპირებული სამოჯამაგირო ფული. რომელს ინგილოსაც კი ის მოჯამაგირეთ ჰყოლია, ყველანი ემდურიათ, რომ ისინი ზარმაცნიც არიან და პირობის გამტენნიცა. თითონ მე მყვანდა ქიზიყელი კაცი მოჯამაგირეთ, სოფელი ბოდბის ხეველი; ოთხ თუმან ნახევარი ფული წინათვე გამოართვა, არც არაფერი გამოკეთა ზარალის მეტი, ბოლოს ერთი ნახადი და ერთი უნაგირი მომპარა და ყველის შეუსრულებლათ გაიქცა. ჩემი ფულეები ეხლაც მდის უგზო უკვლოთ. მართა კიდევ ხუთი ლეკური საცა-

ლო წაიღო თავის საკუთარის და ის წასული დღესაც მოდის თვითონაც და ის საცალოებიცა, თუმცა იფიცივეა ერთ კვირზე მოგებრუნდები და საცალოებსაც მოვიტანო რაც მე სოფ. შორალანში მდგელათა ვარ ერთი და ორი მაგ. არ მომხდარა ამ გვარი მათი შემარტხვენელი ინგილოები; იმათგან ეხლა ისრე არიან დაშინებულინი, რომ თავებს ინოცვენ და ამ თავით მოჯამაგირეს მათგანს ფულეს კი აღარ აძლევენ. ამის გამო ოდესაც ისინი შეწუხდებიან და შეატყობენ, რომ ეხლა იმათ ქვეყანაშიაც მოსავალი მოვიდა და საზრდო გამარავლდა, თუნდ ოთხი ხუთი თვეც ემსახურნოს, ხელს იღებს ყველაფერზე; რადგან იცის რომ ინგილო მას არაფერს მისცემს პირობისამებრ ყველის შეუსრულებლათ, მდის თავის ქვეყანაში სინიღისის შეუსრულებლათ. ამით, რა საკვირველია, ზარალი ეძლევათ ისევე იმათ, და არა ინგილოებს, რადგან პირველებს ნამსახურეი ეკარგებათ. და ეს ფაქტი მე იმას მათეკრებს, რომ ამგვარი ქიზიყელები იმისათვის კი არ მოდიან ამ მარაში, რომ მოჯამაგირეთ დადგენ და ფულეები მოიგონ, არამედ მისთვის, რომ უმოსავლო წელიწადებში კუჭი გაიძღონ ხორაგითა.

(შემდეგი იქნება.)

ნ ა ბ ვ რ ა .

მსურს შესხნეს ფრთანი, ვით ფრინველს, ბერათა მიმოსაფრენლად; მით მომეჩიოს შეგება წულულის გულისა მალხენლად. პოლითა ღონით შეძლებით ბერათა მიმომსურნელმან მსახურო ჩემსა სატრფოსა მისთვის გულ-შეწყულული ზღამან; მუნ სადა შენი დრუბელნი იფარენ მსხიხსა მზეთასა, მით სნაგრენ დაცა-აქნობენ ნაუფსა მისთა მშენთანსა. მსურისმცა, რათა დრუბელსა გალა-ფფანტიდე მუნ ფრთითა; მსრედ ვით ბარ მან ჩხუტულებრ მტრენნი განსდევნის ზე-ჭრითა. მით საყვარელსა ჩემსა მივსცემდი ძალსა სხივებთა გარდმოცემისას, რომლისა გამო ცაც განწმენილი ცვარს მიპკურებდეს ნეტარებისას. მაგრა ამო ეს ჩემი ნატვრა, ვინათგან არ მაქუს ფრთანი საფრენლად. ამად ვერ ძალ-მიმს წაიღი გულის მე აღვისრულო ჩემად სალხენლად.—

15 თებერვალი.
18.8 წ.
მ გ რ ე ლ ი .

ს ა ბ ი ლ ი ო ბ რ ა შ ო . ც ნ ო ბ ა .

ბფლისში ბერენშტამის, ალადათოვის და მნთაჯანის მაგაზინში აგრეთვე მედიკამენტების სტამბაში ისყიდება:

პ ე ფ ს ვ ი ს - ტ მ ა ო ს ა ნ ი
შ ას ი ა თ ი შ ა უ რ ი .

გ ა ნ ც ხ ა დ ე მ ა .

პატიეცემულს „როგობის“ მკითხველებს ვაცნობებთ, რომ მეთოთხმეტე ნუმერი დღესასწაულების გამო, ერთი დღით დაგვიანდა. სოფელს ოკროპუნას უწინდელს ზაქარია ზაბაშვილის სახლში, რომელიც ახლა სულხანოვს ეკუთვნის, ამ ზაფხულს გაიცემა ქირით ხუთ ოთახიანი ქვემო ეტაჟა. შასი შეუძლიანთ იკითხონ სულხანოვის ღვინის-სარდაფში სასულიერო სემინარიის ქვეშ.